პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის --- მაისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 27 აპრილის N48-4826117131 წერილი, რომლითაც ითხოვს **წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე**:**

1. მოწონებულ იქნეს „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის **№** 96 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში **სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებები** წარმოდგენილი დანართის მიხედვით (თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი:ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ზერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826117131**
თარიღი: **27/04/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ, შემდგომ პერიოდში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის, განსახორციელებელ საპროექტო წინადადებებს კერძოდ: 1.სოფელ მაღლაკში, მდინარე ოღასკურას კალაპოტის წმენდა დაღრმავება და რკინა-ბეტონის ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა. 2. სოფელ წყალტუბოში ე.წ. ,,თავუკუღმა ღელე''-ს კალაპოტის დაღრმავება, წმენდა გასწორხაზოვნება, გამსვლელი კოლექტორის რკინა-ბეტონით მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება, რომლებიც მოწონებული უნდა იქნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

გთხოვთ, წარმოდგენილი პროექტების განხილვას და მოწონებას.

დანართი: დასაფინანსებელი პროექტების ჩამონათვალი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების გატარებისათვის, განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

#	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	დასახლება	ადგილმდებარეობა /მისამართი (ქუჩის ან უბნის სახელწოდება)	მდგომარეობის აღწერა	სამუშაოების სავარაუდო ღირებულება (ლარი)
1	იმერეთი	წყალტუბო	სოფელ მაღლაკში, მდინარე ოღასკურას კალაპოტის წმენდა დაღრმავება და რკინა-ბეტონის ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა,	ოქონიის უბანი	სოფელ მაღლაკში მდინარე ოღასკურა, ოქონიის უბანში, სისტემატიურად მოსახლეობას აყენებს დიდ ზიანს, კერძოდ იტბორება სასაფლაო, საკარმიდამო ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები. სტიქიის თავიდან ასარიდებლად საჭიროა მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება, ამოწმენდა, დაღრმავება და რკინა-ბეტონის კედლების ს მოწყობა.	733 000
2	იმერეთი	წყალტუბო	სოფელ წყალტუბოში ე.წ. „თავუკუღმა ღელე"-ს კალაპოტის დაღრმავება, წმენდა გასწორხაზოვნება, გამსვლელი კოლექტორის რკინა-ბეტონით მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება	სოფ.წყალტუბო, ე.წ „თავუკუღმა ღელე"	სოფელ წყალტუბოში ე.წ. „თავუკუღმა ღელე" იკვებება კარსტული მღვიმეებით, ხშირი წვიმების დროს ხდება ადიდება რის შედეგად სისტემატიურად იტბორება მოსახლეობა, მისასვლელი გზა, საკარმიდამო ნაკვეთები. სტიქიის პრევენციის მიზნით საჭიროა კალაპოტის დაღრმავება, გასწორხაზოვნება, გამსვლელი რკინაბეტონის კოლექტორის მოწყობა.	935 000